დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

“ფსიქოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 18/07/2023

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 08/08/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 11

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**Error! Bookmark not defined.**

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა....12

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 14

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ბურდული შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ჯგუფის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ფსიქოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Psychology
უმაღლესი განათლების საფეხური	აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფსიქოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Psychology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფსიქოლოგია, 0313
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 31.01.2023, გადაწყვეტილება N90477
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]

წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფს ფართო სპექტრის პრაქტიკოსი ფსიქოლოგების მომზადებას, რომლებიც დააკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნას კვალიფიციური ფსიქოლოგიური მომსახურების შესახებ. შესაბამისად, ის , ითვალისწინებს სტუდენტების მიერ საბაზისო თეორიული ცოდნის დაუფლებას ფსიქოლოგიური დარგების ძირითად დისციპლინებში. ამავე დროს, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც ეფუძნება პიროვნების მიმართ მთლიანობით მიდგომას, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის პრინციპებსა და განწყობის კანონზომიერებებს

პროგრამა ოთხ ძირითად მიზანს ისახავს: (1) მოამზადოს ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტები, რომლებიც გააცნობიერებენ ფსიქოლოგის პროფესიის მაღალ სოციალურ მნიშვნელობას და ექნებათ ცოდნა ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებების, თეორიების, პრინციპებისა და კვლევის მეთოდების შესახებ; (2) გამოუმუშაოს სტუდენტებს პროფესიული კატეგორიებით აზროვნების, ფსიქოლოგიური კვლევის შედეგებისა და თეორიების ანალიზისა და შეფასების, აგრეთვე კვლევის დაგეგმვის, მკაფიო მითითებების საფუძველზე, ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევის ჩატარების, მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარები, აგრეთვე, შეუქმნას პირობები პროფესიული უნარების განმტკიცებისათვის პრაქტიკის ობიექტებზე და საერთაშორისო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად უცხო ენების დიფერენცირებული სწავლებით; (3) მოახდინოს სტუდენტთა ზოგადი ინტელექტუალური რესურსის ფორმირება უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი სკოლის სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად -- ჩამოუყალიბოს ინფორმაციის კრიტიკულად გააზრებისა და გამოყენების უნარი, გააფართოვოს და სრულყოს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, განუვითაროს ეროვნული და ლიბერალურდემოკრატიული ღირებულებები; (4) ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ბაზისური კომპეტენციები, რომლითაც შეძლებენ ცოდნის სისტემატურ განახლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე და შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას აკადემიური ცოდნის გასაღრმავებლად.

წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს. 240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები -- 125 კრედიტი (მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის), (ბ) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები, კლინიკური ფსიქოლოგიის მოდული -- 30 კრედიტი (სავალდებულო), (გ) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები, სოციალური ფსიქოლოგიის მოდული -- 30 კრედიტი (სავალდებულო), (დ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები -- 25 კრედიტი (სავალდებულო), (ე) თავისუფალი კომპონენტი -- 30 კრედიტი (სავალდებულო) , მათ შორის, ინსტრუმენტული სავალდებულო მოდული -- 20

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

კრედიტი, კულტურულ-ისტორიულ დისციპლინათა მოდული და სოციალურ დისციპლინათა მოდული (სავალდებულო 5-5 კრედიტი, შესაბამისად).

- ვიზიტის მიმოხილვა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფსიქოლოგია“ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასების მიზნით ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 ივლისს.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, შეხვდნენ და გაესაუბრნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და ბიბლიოთეკარს. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფსიქოლოგია“, მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ, ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს, შესაბამისობაშია I, II, III, IV და V სტანდარტთან.

- რეკომენდაციები

მოცემული პროგრამის ხელახალი აკრედიტაციისას გაცემული იქნა 8 რეკომენდაცია და 3 რჩევა, რომლებიც დაწესებულებას სრულად და ამომწურავად აქვს გათვალისწინებული. დეტალური აღწერისა და შეფასებისთვის იხ. ქვემოთ, შესაბამის ნაწილში, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ იმ სტანდარტების/ქვესტანდარტების შესაბამისი აღწერა და შეფასება, რომელსაც შეეხებოდა რეკომენდაციები/რჩევები.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

გაძლიერდეს კოგნიტური ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების სწავლება პროგრამის ფარგლებში;

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

კურსების „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების“, „პიროვნების ფსიქოლოგია“ „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ დასახელების, მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;

კურსის „სტატისტიკის მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (SPSS-ის ელემენტებით)“ ორ ცალკეულ კურსად გაყოფა, რომელთაგან ერთი სავალდებულო (ერთ ან ორ სემესტრიანი) კურსი იქნება და საკუთრივ სტატისტიკის სწავლებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე საკუთრივ SPSS-ის

გამოყენებას ასწავლის სტუდენტებს და პროგრამის განმახორციელებლების სურვილისამებრ, სავალდებულო ან არჩევითი კურსების ჩამონათვალში იქნება შეთავაზებული;

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა და ჩანაცვლდეს რელევანტური და თანამედროვე ცოდნისა და დარგის უახლესი მიღწევების ამსახველი მასალით;

2.2. სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა გაძლიერდეს კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტით/კომპონენტებით;

4.1. ადამიანური რესურსი

გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა;

უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა;

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

გადაიხედოს „პათოფსიქოლოგია 1“, „პათოფსიქოლოგია 2“ და „სოციოლოგიის შესავალი“ კურსების სტატუსი და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგები;

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების წარმომადგენლების მიერ, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობას და განვითარებას;

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

განხორციელდეს პროგრამის დადარება საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან.

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა, რომელშიც გაძლიერებულია რეკომენდაციაში დასახელებული კურსების სწავლება, კერძოდ, დასახელებული კურსების მოცულობა გაორმაგდა და შემდეგნაირად არის წარმოდგენილი სასწავლო გეგმაში: (ა) „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „სოციალური ფსიქოლოგია 2“ (5-5-ECTS შესაბამისად, სულ 10 ECTS); (ბ) „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 1“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 2“ (5-5-ECTS შესაბამისად, სულ 10 ECTS); (გ) „კოგნიტური ფსიქოლოგია 1“ და „კოგნიტური ფსიქოლოგია 2“ (5-5-ECTS შესაბამისად, სულ 10 ECTS). აღნიშნულ ცვლილებებს თან მოჰყვა დასახელებული სამი კურსის შინაარსის გამდიდრება და გამრავალფეროვნება. ყოველივე ზემოთ თქმულიდან, გამომდინარე, ვასკვნით, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.

გარდა ამისა, დაწესებულებამ ზედმიწევნით შეასრულა ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებული რჩევა, კერძოდ, მის მიერ წარმოდგენილ განახლებულ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია აღნიშნული რჩევა, კერძოდ, კურსები „პათოფსიქოლოგია 1“ და „პათოფსიქოლოგია 2“ გადანაცვლდა კლინიკური ფსიქოლოგიის მოდულში, ხოლო „სოციოლოგიის შესავალი“ — თავისუფალი კომპონენტის მოდულში. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, მოდიფიცირდა პროგრამის სწავლის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები კურსებისა „პათოფსიქოლოგია 1“, „პათოფსიქოლოგია 2“, „სოციოლოგიის შესავალი“;
- პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

II, III და IV რეკომენდაციები 1.5 ქვესტანდარტს (სასწავლო კურსი/საგანი) მიემართებოდა.

დაწესებულებამ, რეკომენდაციების შესაბამისად, წარმოადგინა ცვლილებები და დამადასტურებელი თანმხლები დოკუმენტაცია, კერძოდ, II რეკომენდაცია ეხებოდა სამი სასწავლო კურსის დასახელების, მიზნის, შინაარსის, შედეგებისა და ლიტერატურის შესაბამისობაში მოყვანას. როგორც წარმოდგენილი კურსების სილაბუსების შესწავლამ. ისე პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრამ აჩვენა, რომ:

- „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები“, როგორც წინა რეკომენდაციის შესრულების შეფასებაში აღინიშნა, ორსემესტრიანი გახდა და მისი ყველა კომპონენტი შესაბამისობაში მოვიდა ერთმანეთთან. ფაქტობრივად, ახალმა განმახორციელებელმა პერსონალმა (იხ. ასევე, 4.1. ქვესტანდარტთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციის შესრულების შეფასება) ახალი სილაბუსი წარმოდგინა და მასში სრულად არის გათვალიწინებული გაცემული რეკომენდაცია.

- „პიროვნების ფსიქოლოგია“ ორსემესტრიანი გახდა და მისი ყველა კომპონენტი შესაბამისობაში მოვიდა ერთმანეთთან. ამჟამინდელი სახით ორ სემესტრად წარმოდგენილი კურსი სხვა, უფრო სპეციფიკური კურსებისთვის კარგ ბაზის შეუქმნის სტუდენტებს.

- კურსს „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ შეეცვალა დასახელება და განახლებულ სასწავლო გეგმაში შესულია, როგორც „აკადემიური წერა“, რაც სრულიად შეესაბამება კურსის მიზნებს, შედეგებსა და შინაარსს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ II რეკომენდაცია შესრულებულია.

დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა III რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და, ასევე, ვიზიტის მსვლელობისას კურსის ავტორთან და წამკითხველთან (მოწვეულ პერსონალთან) გასაუბრებამ აჩვენა, რომ რეკომენდაცია ზედმიწევნით არის გათვალისწინებული. განახლებულ სასწავლო გეგმაში, ერთის ნაცვლად, წარმოდგენილია ორი კურსი: „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (5 ECTS), რომელიც სტუდენტებს მეხუთე სემესტრში სავალდებულო კურსის სახით შეეთავაზებათ და „სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისთვის SPSS“ (5 ECTS), რომელსაც მეექვსე სემესტრში არჩევითი კურსის სტატუსი აქვს.

ორივე კურსის სილაბუსების შესწავლა აჩვენებს, რომ როგორც შინაარსობრივი, ისე სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით, ეს ორი, სრულიად განცალკევებული კურსია და თითოეულის შინაარსი სრულად შეესაბამება დასახელებას, შინაარსსა და შედეგებს. ამრიგად, III რეკომენდაციაც შესრულებულია.

IV რეკომენდაცია საკითხავ მასალას შეეხებოდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩართულია მთელი რიგი სილაბუსებისა, რომლებშიც განახლდა საკითხავი ლიტერატურა და/ან მომზადდა ქართულენოვანი საკითხავი მასალა. ზოგიერთ ამ კურსთაგანია: კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია, კლინიკური ფსიქოლოგიის შესავალი, კონფლიქტოლოგიის შესავალი, მართვის ფსიქოლოგია, ორგანიზაციის ფსიქოლოგია, პიროვნება და სოციალური ქცევა, პოლიტიკური ფსიქოლოგია, სამედიცინო სექსოლოგიის საფუძვლები, ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები, ხელოვნებისა და კულტურის ფსიქოლოგია. ამრიგად, IV რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- შეფასების ნაწილში დასახელებული ყველა კურსის სილაბუსი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრებ

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გარდა იმისა, რომ დაწესებულებამ შეასრულა ზემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები, რაც ამ ნაწილში გაცემული რეკომენდაციის შესრულებასაც მოიაზრებდა — სწორედ კვლევითი უნარები განმავითარებელი კომპონენტის გაძლიერებას ემსახურება II და III რეკომენდაციის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები, პროგრამას დაემატა 10 კრედიტის მოცულობის მქონე სავალდებულო სასწავლო კურსი „საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს მოუწევს პროგრამაზე სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული ცოდნის თავმოყრა, შეჯამება და ემპირიული კვლევის დაგეგმვა-განხორციელება, მონაცემთა ანალიზი-ინტერპრეტაცია და ანგარიშის დაწერა-წარდგენა. ამრიგად, V რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსი კურსისა „საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა“
- პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

VI რეკომენდაცია პროგრამაში ჩართული ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის გაზრდას შეეხებოდა. დაწესებულებამ, რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ორჯერ გამოაცხადა კონკურსი ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. პერსონალი შეირჩა ღია, გამჭვირვალე მრავალკომპონენტიანი შეფასების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნის საფუძველზე. ამრიგად, VI რეკომენდაცია შესრულებულია.

ამავე ქვესტანდარტის ფარგლებში იყო რეკომენდებული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის მსვლელობისას მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამჟამინდელი მდგომარეობით, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა შემდეგნაირია:

	ფსიქოლოგიის მიმართულებით	სხვა	სულ
აკადემიური პერსონალი	8	11	19
მოწვეული პერსონალი	12	7	19
სულ	20	18	38

ცხრილიდან ცხადად ჩანს, რომ ფსიქოლოგიის მიმართულებით პერსონალი ოდნავ სჭარბობს სხვა მიმართულების მქონეთ, თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა 2:3, რაც, შესაძლოა, პროგრამის მდგრადობის საკითხს აყენებდეს დღის წესრიგში, თუმცა როგორც ვიზიტის მსვლელობისას აღინიშნა, დაწესებულება კიდევ გეგმავს ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პოზიციების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადებას. ამასთან, პროგრამის განმახორციელებელი 38 პერსონალიდან 17 აფილირებულია დაწესებულებასთან, მათ შორის 5 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 1 ასისტენტი. შესაბამისად, VII რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- კონკურსის მასალები;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასების ქვესტანდარტთან დაკავშირებით მხოლოდ რჩევა იყო გაცემული, რომლის შესაბამისადაც, დაწესებულებამ წარმოადგინა ნანტის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) ასოცირებული პროფესორის მიერ განხორციელებული გარე შეფასების ანგარიში, რომელიც პროგრამის განახლების შემდეგ განხორციელდა. ანგარიშის მიხედვით, წარმოდგენილი პროგრამა ეთანადება ევროპულ უნივერსიტეტებში არსებულ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამებს. რჩევა გათვალისწინებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის გარე შეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეკომენდაცია მოიაზრებდა შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედებას სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიში; ასევე, პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში და პერსონალის თვითშეფასების ანგარიშები. გარდა ამისა, გაანალიზდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და შეფასდა 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის შედეგები. ამრიგად, VIII რეკომენდაცია შესრულებულია.

აქვე დაწესებულებას მიეცა წარმოდგენილი პროგრამის სხვა ადგილობრივ და უცხოურ პროგრამებთან დადარების რჩევა. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ილიას სახელობის უნივერსიტეტის და მონრეალის უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამებთან დადარების დოკუმენტი. შესაბამისად, რჩევაც გათვალისწინებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების დოკუმენტები;
- ანალოგიურ პროგრამებთან დადარების ანგარიშები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.1. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	☒	☐	☐	☐

შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები
ნანა ბურდული